


პირველკლასელთა რეგისტრაცია საჯარო სკოლებში

1. ელექტრონული რეგისტრაციის გვერდზე შესასვლელად აკრიფეთ მისამართი <http://registration.emis.ge> ან ისარგებლეთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდზე არსებული ბმულით.
2. ეკრანზე არსებული ღილაკებიდან აირჩიეთ სასურველი, იმის გათვალისწინებით თუ რა გსურთ - მოსწავლის რეგისტრაცია, რეგისტრაციის გაუქმება თუ სკოლებში დარჩენილი თავისუფალი ადგილების რაოდენობის ნახვა.



პირველკლასელთა რეგისტრაცია



შესაბამის ველებში მიუთითეთ მოქალაქეობა, ბავშვის პირადი ნომერი, სახელი, გვარი და რეგისტრაციის გაგრძელების მიზნით დააჭირეთ ღილაკს „შემდეგი“.



მოქალაქეობა

საქართველოს მოქალაქე/ბინადრობის მოწმობის მქონე
 უცხო ქვეყნის მოქალაქე/ბინადრობის მოწმობის არ მქონე

მოსწავლის პირადი მონაცემები

პირადი ნომერი: *
 სახელი: *
 გვარი: *

შენიშვნა #1:

საქართველოს მოქალაქე/ბინადრობის მოწმობის მქონე - უნდა მონიშნოთ იმ შემთხვევაში თუ არეგისტრირებთ საქართველოს მოქალაქეს ან ბინადრობის მოწმობის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეს;

უცხო ქვეყნის მოქალაქე/ბინადრობის მოწმობის არ მქონე - უნდა მონიშნოთ იმ შემთხვევაში თუ არეგისტრირებთ უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან საქართველოში მცხოვრებ, ბინადრობის მოწმობის არ მქონე მოქალაქეს.

შენიშვნა #2:

გაითვალისწინეთ, მოსწავლის შესახებ ეკრანზე გამოტანილი ყველა ველის შევსება სავალდებულოა.

იმ შემთხვევაში თუ, რომელიმე ველი არაკორექტულად/არასწორად იქნა შევსებული ეკრანზე გამოვა შესაბამისი შეტყობინება.



1 მოსწავლე მოსწავლის მონაცემები	2 მშობელი მშობლის მონაცემები	3 სკოლა სკოლის მონაცემები	4 რეგისტრაცია რეგისტრაციის დასრულება
მშობლის მონაცემები და საკონტაქტო ინფორმაცია			

რეგისტრაციის მეორე ეტაპზე შესაბამის ველებში მიუთითეთ ერთ-ერთი მშობლის (დედა/მამა/მეურვე) პირადი ნომერი, სახელი, გვარი, მობილური ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა და რეგისტრაციის გაგრძელების მიზნით დააჭირეთ ღილაკს „შემდეგი“.

მშობლის მონაცემები

მშობელი: *

პირადი ნომერი: *

სახელი: *

გვარი: *

მობილური ტელეფონის ნომერი: *

ელ.ფოსტა:

შენიშვნა:

ელექტრონული ფოსტის გარდა ეკრანზე არსებული ყველა ველის შევსება სავალდებულოა;

იმ შემთხვევაში თუ, რომელიმე ველი არაკორექტულად/არასწორად იქნა შევსებული ეკრანზე გამოვა შესაბამისი შეტყობინება.

1 მოსწავლე მოსწავლის მონაცემები	2 მშობელი მშობლის მონაცემები	3 სკოლა სკოლის მონაცემები	4 რეგისტრაცია რეგისტრაციის დასრულება
აირჩიეთ სასურველი სკოლა			

რეგისტრაციის მესამე ეტაპზე ჩამოსაშლელი ველების საშუალებით ამოირჩიეთ შესაბამისი რეგიონი, რაიონი, სასურველი სკოლა და რეგისტრაციის გაგრძელების მიზნით დააჭირეთ ღილაკს „შემდეგი“.

აირჩიეთ სასურველი სკოლა

რეგიონი: *

რაიონი: *

სკოლა: *

შენიშვნა:

ყურადღება მიაქციეთ სკოლებში დარჩენილ თავისუფალი ადგილების რაოდენობას. გაითვალისწინეთ, მონაცემები იცვლება დინამიურ რეჟიმში.

სკოლებში დარჩენილი თავისუფალი ადგილების ნახვა შესაძლებელია ვებგვერდზე: <http://catalog.edu.ge/>

იმ შემთხვევაში თუ რეგისტრაციის დასრულებამდე ამორჩეულ სკოლაში არსებული ლიმიტი ამოიწურა, ეკრანზე გამოვა შესაბამისი შეტყობინება.

1 მოსწავლე მოსწავლის მონაცემები	2 მშობელი მშობლის მონაცემები	3 სკოლა სკოლის მონაცემები	4 რეგისტრაცია რეგისტრაციის დასრულება
თქვენ წარმატებით გაიარეთ რეგისტრაცია			

რეგისტრაციის დასრულებამდე ეკრანზე გამოდის მოსწავლის შესახებ რეგისტრაციის პროცესში მითითებული ინფორმაცია და უნიკალური კოდი, რომელსაც სისტემა ავტომატურად ანიჭებს თოთოეულ რეგისტრირებულ პირველკლასელს.

სკოლა:
პირადი ნომერი:
სახელი:
გვარი:
რეგისტრატორი:
სახელი:
გვარი:
მობილური:
რეგისტრაციის კოდი: **361084xVEPk**

გაითვალისწინეთ, რეგისტრაციის პროცესში მითითებული ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია პირი, რომელიც უშუალოდ ახდენს ბავშვის რეგისტრაციას.

შენიშვნა: ეკრანზე გამოსახულ რეგისტრაციის კოდს რეგისტრატორი მიიღებს, როგორც მოკლე ტექსტური შეტყობინების, ასევე ელექტრონული ფოსტის საშუალებით.




გაითვალისწინეთ, რეგისტრაციის კოდი უნიკალურია და მნიშვნელოვანია ბავშვის შემდგომი იდენტიფიცირებისათვის!

რეგისტრაციის გაუქმება

რეგისტრაციის გაუქმების მიზნით საჭიროა შეასრულოთ მოქმედებები შემდეგი თანმიმდევრობით:

რეგისტრაციის გვერდზე (<http://registration.emis.ge>) არსებული ღილაკებიდან აირჩიეთ „რეგისტრაციის გაუქმება“



შესაბამის ველებში მიუთითეთ მოსწავლის პირადი ნომერი, რეგისტრაციის კოდი და გაუქმების პროცედურის გაგრძელების მიზნით დააჭირეთ ღილაკს „შემდეგი“.

პირადი ნომერი: *

რეგისტრაციის კოდი: *

შენიშვნა: რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში უნიკალური კოდის ისევე, როგორც მოსწავლის პირადი ნომრის მითითება სავალდებულოა.

რეგისტრაციის პროცესში ნებისმიერი პრობლემის შემთხვევაში დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომერზე: 2 200220

